

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის იოან. 10—11.
შპოვე ცხოვარი ჩემი წ:წყემედული. მსრეთ იყოს სიხარული ათა შინა, ერთისათვის კიდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 24

1883—1903

30 დეკემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: ფიქრები 1904 წლის დამდეგს, დეკ. დ. ღამაშობის.—ახლად შობილს ქრისტეს აკვანთან, (საშობაო მოთხრობა მოგვების თაყვანისცემაზედ). მღ. კ. ანთაძის. —* * (ლექსი) 'როსტომ—გუძასი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ეურნალ-ვაზეთებიდან.

სწავლა და მისცინება პრინციპალიზ საჩუქროებას და კეთილ-ზნეობაზე: სიტყვა, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის-მიერ 13 დეკემბერს, ფარცხანაყანევის ეკლესიის კურთხევაზე. —საუბარი დაბადებიდან, გორგაძის.—განცხადებანი.


ფიქრები 1904 წლის დამდეგს.



ოგილოცავ, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, მიმდინარე წლის მშვიდობით გასტუმრებას და მომავალი 1904 წლის მშვიდობით მიგებებას. ღმერთმან ბედნიერი ჰყოს ყველა ჩვენთვის ეს ახალი წელიწადი, რომ ავსორებულიყო ყველა მას, რაც მოგვიტანა მიმდინარე წელმა. რა იმედებით, რა სასოებით, რა აღტაცებით ვეგებებო-

დით 1903 წლის დადგომას, რას არ მოველოდით მისგან! მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი ვაგვიცრუვდა, საქმით არაფითარი ხერი მისგან ჩვენ არ გვინახავს. რაც ამ ზბედურ წელში საქმეები მოხდა, ის არ მომხდარა არც ერთ წარსულ წლებში და არც კი ვაგვიგონია! გადათვალეფრეთ კარგად ყოველი მხრით ჩვენი დაბეჩავებული ხალხის ცხოვრება და მდგომარეობა ამ წელში და თქვენ აშკარად დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობთ და გარდამეტი, გაზვიადებული აქ არა არის-რა.

ავილოთ ნიეთიერი მდგომარეობა ჩვენი ხალხისა.





რა სამწუხარო მდგომარეობას წარმოადგენს იგი! თითქმის მთელი სმზოგადობა ვალშია ჩაფლული. წინეთ გაზეთის ნახევარი გვერდი კმაროდა საჯაროდ დაგირავებული მამულების გასყიდვის განცხადებათათვის დასაბეჭდავად, ხოლო დღეს არა თუ ერთი და ორი გვერდი გაზეთისა, არამედ რვა გვერდზე ძლივს-ლა სტევენ, სამწუხაროდ და საფალალოდ ადგილების მებატონეთა და სასიხარულოდ განცხადებათა მბეჭდავ გაზეთების რედაქტორთა!.. მართალია, აქა-იქ, თითო ორ-ორი, განსაკუთრებით სომხობაში, მდიდრდება, მაგრამ ათასობით და ორი ათასობით სრულებით დატაკდებიან. ასე, ჩვენი ცხოვრება ეკონომიური მხრით შესამჩნევად უარესდება და სიჩქარით უკან იწევა...

1903 წელიწადი მეტის-მეტად შესამჩნევი შეიქმნა ცარცვა-გლეჯითაც, მტაცებლობით, მზავრელობით ზ სხვა-და-სხვა უკუღმართი მიმართულებით. ყველა ის, რაც ამა წელში მოხდა ჩვენში ზ შესრულდა, წინეთ არც მომხდარა და არც გაგონილა. დიდს იმედს გაპირდებოდნენ მყუდრო ცხოვრების დაარსების შესახებ და ცარცვა-გლეჯის მოსპობით. მაგრამ ის, რაც მოხდა ამწელს, არა თუ არ მომხდარა წინეთ, არამედ, ვგონებ, არც არავის გაუგონია. კერძო პირების გაგლეჯაზე და მთელი ოჯახების აწიოკებაზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა ხაზინები და ბანკები იგლიჯება ყაჩაღებისაგან დარაჯებისა და ყარაულების თანდასწრებით! რაღა უნდა სთქვას კაცმა ღამ-ღამობით მცხოვრებთა გაგლეჯაზე, როცა მონასტრებს და ეკკლესიებს თავს ესხმიან ღოცვის დროს დღისით ზ თოფების სროლით თავზარს სცემენ ეკკლესიაში მყოფთ და შემდეგ ამტვრევენ და ამსხვრევენ ყველაფერს და მიაქვთ. რაღა უნდა ვსთქვათ მონასტრების და ეკკლესიების გაგლეჯაზე, სადაც წიგნებით ხელში მღვდლებისა, დიაკვნებისა და მლოცველების მეტი არავინ არ ხვდებოდა, როცა ხაზინას ეცემიან დღისით მრავალი ხალხის თანდასწრებით, რამდენჯერმე თოფის სროლის შემდეგ უბრძანებენ დამსწრეთ „დაწევი“ და ბოლოს მიაქვთ ფულები და მიბრძანდებიან. დიად, სწორეთ გასაოცარი საქმეები მოხდა ამ კურთხეულ 1903 წელში და სამუდამოთ აღინიშნა იგი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში..

რა მოხდა, რამ დაბადა ხალხში ესეთი თავგასულობა, რომ ამისთანა ცარცვა-გლეჯას ბედავს? რამ დაუკარგა ამ თავზე ხელაღებულებს ღვთის შიში

და კაცთა სირცხვილი? აი კითხვა, რომელსაც ყოველი კაცი თავისებურად ხსნის და განმარტავს. ზოგიერთები ამ ცარცვა-გლეჯის მიზეზად ასახელებენ ხალხის გაჭირვებას და გაღატაკებას. „საზროდა არა აქვთ და ლუკმის გულისთვის ყველაფერს ბედავენო“, ამბობენ იგინი. მაგრამ სრულებით მოკლებულია სიმათლეს ეს ზოგიერთების მოსაზრება. წარმოიდგინეთ, რომ დღევანდელი ქირა მუშათა ერთი ორად მეტია წინანდელზე. ყოველი კაცი მუშების გაძვირებას უჩივის და რომ მართლა ასე გაჭირვებული იყოს ხალხი, მაშინ მუშა კაციც ასე გაძვირებული არ იქნებოდა. გადაათვალიერეთ თქვენ ეს მკარძველები და მგლეჯელები, რომელნიც ჯან-ღონით მდიდრები არიან, მაგრამ არასოდეს ამ ჯან-ღონეს შრომისთვის არ ხმარობენ... მათი შრომა დროს გატარება, ქეიფობა და ცუდაც ყოფნა, ღამ-ღამობით და ხანდისხან დღისითაც სის სახლებში ფოთარი და ცარცვა-გლეჯა...

ზოგიერთები ჩვენი დროის სამწუხარო მოვლენათა მიზეზებათ ასახელებენ ხალხის გაუნათლებლობას. ეს მოსაზრებაც სრულებით მოკლებულია, ჩვენი აზრით, სიმათლეს. მართალია განათლება უსაჭიროესი რამ ღონისძიებაა ხალხის კეთილ დღეობისათვის და სიბნელით მოკული ხალხი ბედკრულია, მაგრამ ცარცვა-გლეჯას მართო სწავლა ვერ მოსპობს. ჩვენი ხალხი ძველ დროში უმეტესად გაუნათლებელი იყო, მაგრამ ისეთი ცარცვა-გლეჯა სრულებით არ ყოფილა მაშინ, რასაც დღეს ასე ხშირად ვხედავთ. ამისთან განათლებაც სხვა-და-სხვაა. განა ცოტანი არიან მკარცველები და მგლეჯელები, რომელთაც საკმაო განათლება მიუღიათ?..

სწავლა-განათლებას არ მოუშლია ზოგიერთებისათვის ცარცვა-გლეჯა და ქურდობა. მართალია ყოველ ცუდკაცობას სპობს განათლება, მაგრამ მართო გონებითი განათლება კრ არა, არამედ ზნეობით განათლება, რომელსაც დღევანდელი განათლება ძლიერ მოკლებულია. ცარიელი კაცის სული, მოკლებული ყოველივე ზნეობრივ განათლებას, არაფერს აღარ ერიდება, აღარც ღვთის ეშინია და აღარც კაცის რცხვენია. მას სწამს მართო კუქის მოთხოვნილება და მის დასაკმაყოფილებლად მზად არის ყოველივე საძაგლობა ჩაიდინოს. მართლაც ამისთანა კაცების მოსპობა არ შეუძლია არც ჩამოხრჩობას, არც კატორგას და არც მართო გონებით განათლებას. ერთად ერთი საშუალება არის ხალხის რელიგიური და ზნეობრივი განათლება, მაგრამ



როდის მოესწრება ჩვენი ხალხი ამას, ვინ იცის! დედამიწაზე უგანათლებულეს ხალხად მიჩნეულია ამერიკელები. არც ერთს ხალხში იმდენს არ ზრუნავენ სარწმუნოების სწავლის გავრცელებისთვის ხალხში, რამდენსაც ამას შენიშნავთ ამერიკაში. ჩვენში-კი სარწმუნოება მხოლოდ პოლიტიკის იარაღად გაუხდიათ ზოგიერთებს, თორემ სხვებზე საჭიროდ აღარ მიიჩნიათ! ვერ შეუგნიათ კიდევ ზოგიერთებს, რომ იქ, სადაც სარწმუნოება და კეთილზნეობა დასუსტებულა და დაქვეითებულა, ხალხის ცხოვრება გამწარებულა და გაუბედურებულა. ვერ შეუგნიათ კიდევ, რომ კაცი ქვეყანაზე გვირგვინია ყოველ ქმნილებათა და როცა სწყვეტს კავშირს ქვეყნის შემქმნელთან და ჰკარგავს ღვთის ხატებას და მსგავსებას, მაშინ იგი უსაძაგლესია ყოველ მხეც-ცხოველებზედაც.

ყოველს ადგილას და ყველგან მეცადინობენ სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის განმტკიცებაზე, მაგრამ ჩვენში-კი სრულებით ამას არ აქცევენ ყურადღებას. ქალაქებში დაწერილს თუ მივიღებთ სახეში მაშინ ვითომ ჩვენში უფრო ბევრი კეთდება ვინემ სხვაგან. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში სატყუით ბევრი კეთდება, მაგრამ საქმით არაფერი. ჩვენში სიტყვას აქვს მნიშვნელობა და არა საქმეს. ყველაზე უბედურება ის არის, რომ ბრალსა გვდებენ, სარწმუნოების და ზნეობის დასუსტებაში ისინი ვინც ნამდვილ ბრალდებულნი არიან ხალხში სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის დასუსტებაში. მაგრამ რამდენიც უნდა გავიმართლოთ თავი პასუხის მგებელი შევიქნებით ღვთის წინაშე ყველა შეგნებულნი, მოძღვარნი და მასწავლებელნი, რომ არ ვასწავლეთ, არ გავაფრთხილეთ, არ დავარიგეთ ჩვენი უნცროსნი ძმანი და ქეშმარიტ გზაზე არ დავაყენეთ. ვთხოვთ და გვედარებით ყველა მოძმეთა, მასწავლებელთა და შეგნებულთა დავსდოთ პირობა, რომ ახალი 1904 წლიდან დავაარსოთ ჩვენშიაც საეკლესიო და სარწმუნოებრივი ძმობანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი მსგავსად განათლებული ქვეყნების ხალხებისა. შეძლებისა დაგვარად ვასწავლოთ უსწავლელთა და ქეშმარიტი გზა უჩვენოთ გზა დაბნეულთა. მცირეს დროში დავრწმუნდებით, რომ ის სამარცხვინო და საზიზღარი საქციელი, რომელნიც წარმოსდგებიან სარწმუნოებისა და ზნედაცემულობისაგან მსწრაფლ მოისპობიან.

ახლად უოგილს ჰრისტოს აკვანთან.
(საშობაო მოთხრობა მოგვების თავყანისცემასზედ)
(შემდეგი*)

III. სასწაულებრივი ისტორია ბერძნისა.

იმ დროული ენით რომ ვსთქვათ, აქ აღწერილი შეხვედრა მოხდა 747 წ. რომის დაარსებიდან. ეს იყო ქრისტესშობისთვეში, როდესაც ზამთარი ჰმეფობს ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ქვეყნებში. ამ დროს მოგზაურობა არა იშვიათის მიზეზებისაგამო იყო. მგზავრთ მოშივოდათ და მადიანათ შეექცეოდნენ საქმელს და მუსაიფსაც უმატეს.

—იმაზედ დიდი ბედნიერება რალა უნდა იყოს ქვეყნად უცხოეთში მოგზაურთათვის, როდესაც გესმის შენი სახელი მეგობრის ენაზედ—სთქვა გვიბტელმა და დაჯდა პირველს ალაგზე.

—ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა შეგვხდება. დროა გავიცნოთ ერთმანეთი და ვინც უკანასკნელად მოვიდა, დეე, იმან იწყოს პირველად.

მაშინ ბერძენმა დინჯათ, თითქო თვითეული სიტყვას ძვირათ აფასებდსო, იწყო:

—რაც სათქმელი მაქვს თქვენთან, ძმებო, ისეთი გასაოცარია, რომ არ ვიცი, სიდან დავიწყო. მე ჯერ თვითონაც არ შემისმენია: ამაში კი ვარ დარწმუნებული, რომ მე—ღვთის ნების აღმსრულებელი ვარ და ეს მოვალეობა ჩემთვის დიდი სიხარულია. როდესაც მოვიგონებ იმ მიზანს, რის ასასრულებლად გამოგზავნილი ვარ, გული სიხარულით მევსება და უნებურად ვგრძნობ, რომ აქ ღვთის ნებაა.

ამის შემდეგ იგი სდუმდა და განგრძობას ვეღარ ახერხებდა, ხოლო სხვებმა კი, თითქო თანაუგრძნეს მასაო, თვალები ძირს დააშტერეს.

შორს, დასავლეთით არის ქვეყანა, დაიწყო მან, რომლის დავიწყება არაოდეს არ შეიძლება თუნდაც იმისათვის, რომ კაცობრიობა მისგან დიდათ დავალებულია და იმისათვისაც, რომ ეს მოვალეობა მდგომარეობს იმ საგნების მოხვეჭაში, რომელთაგან ერთი დიდს ყმაყოფილებას იღებს. მე აქ არას ვიტყვი ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, მქვერ-მეტყველობაზე, პოეზიაზე, ომიანობაზე: ოჰ, ძმებო, მისი დიდება ყოველთვის შარავანდელით იქნება მოცული შესა-

დკე. დ. ღამბაშიძე.

*] ის. „მწყემსი“ № 23, 1903 წ.

ნიშნავ წერილებში, რომლებთაგანაც იგი, ვის სა-
ნახავად ჩვენ მივალთ ახლა, ცნობილი შეიქმნა
მრთელს ქვეყანაზე. ეს ქვეყანა საბერძნეთია. მე ვარ
ჰასპარ, ძე ათინელ ელენათისა.

„ჩემი ერი გულით და სულით, განაგრძო მან,
მეცნიერებას დაწვა და მეც იმათ წაებაძე. ორი
ჩვენ ფილოსოფოსთაგანნი ერთი ასწავლის ყოველს
ადამიანში არსებულს სულზედ, იმის უკვდავებაზედ,
მეორე—ერთს ღმერთზე, ყოვლად მართალზე. მრ-
ვალს საგნებს შორის, რომლებზედაც დაუა აქვს
ატეხილი სხვა-და-სხვა სკოლებსა, მე ეს ორი აღვი-
რჩიე, რომელნიც ერთად ერთი შესწავლის ღირსი
არიან, რადგან მე დავრწმუნდი, რომ ღმერთსა და
სულს შორის კავშირია, თუმცა ჯერ ეს გამოუკვლე-
ველია. ამ თემაზედ გონებას შეუძლია უკანასკნელ
ხარისხამდე იქონიოს მსჯელობა; ამ კედლამდე რომ
მიადწევ, უნდა შეჩერდე ა შევლას თხოულობდე.
მეც ასე მოვიქეცი. მაგრამ კედელს იქილამ ხმა არ მო-
ისმოდა. სასოწარკვეთილი ვავეშურე ქალაქილამ,
სკოლილამ.

ამ სიტყვებზე ინდოელს გაელიმა.

ჩემის ქვეყნის ჩრდილოეთისაკენ, თესალიაში,
განაგრძო ბერძენმა, არის შესანიშნავი ღმერთთა სამ-
ყოფი მთა, სადაც არის თვისი, რომელსაც ჩემისთანა
მემამულენნი უწოდებენ უზენაესს ღვთაებას. ეს მთა
ოლიმპია. აი მეც იქ წავეღო. იქ ვბოვე მე მღვიმე
მთაში, სადაც დავეცი შინა, ჩემს ღვთაებს ფიქრებში
ვატარებდი და ამისთან გულის ფანქარებით მოვე-
ლოდი იმას თუ საითკენ მიიმართვის თვითეული
ლოცვა, სახელდობ ზეგარდმო გამოცხადება. უხი-
ლავი, უზენაესი ღმერთი მრწამდა და მრწამდა ისიც,
რომ ამისთანა მუდარით შეიძლება მიჰმართოს მას
კაცმა, რომ დაბოლოს შეიწყნაროს იგი და გასცეს
პასუხი მეთქი.

—აკი კიდევ მიგიღია პასუხი! წამოიძახა ინდო-
ელმა და ხელები ზემოთ აიშვირა.

—ყური მიგდეთ, ძმებო, გააწყვეტინა ბერძენმა
და ძლიერს მოიკრიბა სიმშვიდე.

„ჩემი ბინის კარები ზღვის პირისაკენ, თერმისის
სრუტესთან იყო. ერთხელ მე დავინახე ერთი კაცი
ზღვაში გემით. მოსტურავდა ჩემკენ. ის გამოვიდა
ნაპირზე. მე ის მივიღე და ვიზრუნე მისთვის. ის
იყო ურია თვისის ერის ისტორიისა და კანონების
მცოდნე. მისგან ვსცან მე რომ ღმერთი არსებობს,

ის ღმერთი, რომელსაც მე ვევედრები, რომ იგი
იყო მათ სჯულმდებელი, გამგე და მეუფე. ეს ის
გამოცხადება არ იყო, რომლისათვისაც ვევედრები
მე იმას. ჩემმა სარწმუნოებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა!
ღმერთმა მიპასუხა.

—როგორც ყველას აძლევს ხოლმე პასუხს, ვინც
სარწმუნოებით მიჰმართავს მას შენსავით, შენიშნა
ინდოელმა.

—მაგრამ ესეც კია, დაუმატა ევვიპტელმა, მკი-
რენდი არიან ისინი, რომელსაც შესწევს იმდენი
გონება, რომ მიხვდენ ამ პასუხს.

—ამით საქმე არ გათავებულა, განაგრძო ბერძენ-
მა. ამ სახით მოგზავნილმა კაცმა ჩემთან ბევრი რამ
მიამბო. მან მიამბო, რომ წინასწარ-მეტყველენნი
რომელნიც საუკუნოების განმავლობაში პირველ
განცხადებებს ჰღებულობდენ, ღმერთს ესაუბრებო-
დენ და ამბობდენ იგი კვლავ მოვაო. ამ წინასწარ-
მეტყველების სახელები აღმინუსხა და მათი ნათქვა-
მიც გადმომცა საღმრთო-წერილიდან. ისიც მითხრა
რომ მისი მობრძანება ჩქარა იქნებოდა და ღვედღეზე
ელოდებიან იერუსალიმშიო.

ბერძენი სდუმდა და სახე მოელურბლა.

—მართლა, სთქვა მან, ღმერთი და გამოცხადება
ნუ-თუ ურიების იყო მარტო? აწიც ასე იქნება:
ვინც მოვა ურიების მეფე იქნება. დანარჩენი კაცო-
ბრიობისთვის არ იზრუნებს დავიჯერო? ვკითხე მე
მას. არაო, მამიგო მან რიხიანად. ჩვენ ვართ აღ-
რჩეული მარტო, ჩვენ! ამ მიგებას ჩემის სასოებისა-
თვის ფრთები არ შეუკვეცია კიდევ. ამისთანა ღმე-
რმერთმა გნა ერთი ერისათვის უნდა მოიცალოს
მარტო? მე მაინც შეუდევ ამის გამოკვლევას. მერე მე
ამ კაცის სიმამაცეს ფრთები შეუკვეცე და ვსცან, რომ
მისნი წინაპარნი მხოლოდ აღრჩეულნი იყვნენ ჭეშ-
მარიტების დასაცველად, მთელს ქვეყანას უნდა
შეესწავლა შემდეგ იგი ჭეშმარიტება და ცხოვნების
გზას უნდა დასდგომოდა. როდესაც ურია წასულიყო
მე გულზე მეშვებოდა ღ კვლავინდებურად განვაგრძე
ლოცვა მასზედ, რომ გამხდარიყავი ღირსი მენახა
ეს მეფე როდესაც ბობრძანდებოდა და თაყვანი მეცა
მისთვის. ერთ ღამეს ვიჯექ ჩემის მღვიმევის კარებთან
და ვსცდილობდი ჩამეხედნა ჩემის არსების საიღუმ-
ლოებისათვის და კიდევ ვსცანი ღმერთი. უცებ
ზღვაზედ ჩემს ახლოს ანუ მისგან ღამის წყვილით
მოცულს სივრცეში მე დავინახე როგორ აენთო

რომელიღაც ვარსკვლავი: დინჯათ ზემოთ მოდიოდა, თან-და-თან მიახლოვდებოდა მე და ბოლოს ჩემის ქოხის კარებთან გაჩერდა. მე იმწამსვე დავემხვე პირ-ქვე და ძილს მივეც თავი, სიზმარში მომესმა ხმა: „ოი ჰასპარ შენმა სარწმუნოებამ აჯობა. კურთხეულ იყავ შენ! ორს სხვა პირებთან, რომელნიც მოვლენ შორეულის კურთხიდან შენ იხილავ მას, როგორც ალთქმული გაქვს და იქნები მისი მოწამე. ადექი დილით და წადი მის სანახავად სასოებდღე სულზე, რომელიც წარგიძღვება შენ“.

როდესაც დილით გამომეღვიძა მე ვიგრძენ ჩემთან სულის არსებობა, შუქის მსგავსად, რომელიც მზეზე ძლიერი იყო. განვიძარცვე ჩემი მწირული სამოსელი და კვლავინდებურად ჩავიცვი, თან წამოვიღე ერთს ადგილს დამალული საუნჯენი. ახლო გემი იდგა, ჩავჯექი შიგა და წამოვვიდი ანტიოქიაში, იქვე აქლემი ვიყიდე. ორონტის გარშემო მდებ ე ბაღჩა-ბოსტნებიდან მე მივედი ემესში, დამსკო, ბოსტრაში, ფილადელფიაში და იქიღამ აქა. აი, ჩემო ძმებო ჩემი ისტორია. ახლა მეც გავიგონო თქვენი ნაამბობი.

მღ. კ. ანთაძე.

(შემდეგი იქნება)

*
**

დრომ უკუდმართმან შესცვალა
წინა დროების უსებები;
ადარ სადგურებს ჩვეულებრ
მოყვსური წმიდა ვალები;
თან-და-თან ფერადს იმისავს
წელნი, დღენი და წამები,
ესრედს ცვალებადს დრო-უამს
ფიქრებ ვერ შევხსნარები!

ეს უმაღლესი ქმნილება
ბუნების უსვი შემკული,—
ღამის დაეცეს, დაკინდეს
გაუგერანდეს მას გული,—
წრფელი გონების ნაცვალი

სხვას მიაწოდოს მზაკვრული,—
მწიკვლი, უნდობი, სავნები,
აუტანელი, გზა-კრული.

ქვეყნის დიდება, სახინო,
ზენა ნამცნები ძალები,—
დაადი, წმიდა, უბიწო,
ვევლასკან სათაფვანები,
სადღა ვიზოფო, ვის ახლავს,
ძველების დასამგვანები,—
ამა დანაკარკს დავსტირი
სვე-ბედით განამწარები.

ბუნებამც ვერ შეიფერი
ესოდენ უნდო ქმნილება,
ცას შემოერთეს ბურუსი
და მიწას ღამის ხრწნილება;
ოდეს დაუურებს ჩვენს ცოდვებს
მზის სსიფიც არ გვეუფინება,
და შავს დრუბელში შთანქმულს
ცრემლებიც აედინება.

ნეტავ რა არის, რა მონთა,
რას განურეფნია სოფელა?
რამ ჩანთქა, რამან ჩაყვანა
იმედის მომართხრებელი?
ნუ-თუ ძალ-მომრეობისკან
დადუნდა გული მკრძნობელი,
და არ ენდობა მის-გამო
კინდ იყოს კეთილმოფიქვლი!

ამას დავსტირი, მას მოვსთქვამ,
ეს არის ჩემი დარღები,
დღე-დღე ცოდვების მორეუმი
ხელავ რამ მეცა ვვარღები,
მაგრამ სახემდის ცოცხალ-ვარ
მათ ველარ შევეუფარღები,
დაე დავლახვრდე ისრითა
მე მოყვასს ვესევადები!..

როსტომ—გუბა.



შურნალ-გაზეთებიდან.

როგორც ვიცით, ინგლისური პრესა დიდის ყურადღებით ეკიდება შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს და დიდის ინტერესით მოელის რუსეთ-იაპონიის დავის გადაწყვეტას. დიდი ინგლისური გაზეთები ყოველ დღე მოწინავე წერილებს უძღვნიან ამ საქმეს. ინგლისურ გაზეთებს, რასაკვირველია, ისიც ძლიერ ეინტერესებათ, როგორ მოიქცევიან ამ საქმეში დიდი სახემწიფოები, ვინ ვის მხარს დაიჭერს და ვის მიუდგება. ჯერ-ჯერობით იაპონიას ინგლისი ჰყავს მოკავშირედ, რუსეთს კიდევ საფრანგეთი. გაზ. „დეილი მელ“-ი სწერს ამის თაობაზე:

შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში იაპონია და ინგლისი ერთს მხარესა დგანან, რუსეთი და საფრანგეთი მეორეს. საინტერესოა, ჩინეთი, გერმანია და შეერთებული შტატები როგორ-ღა მოიქცევიან, ვის დაუჭერენ მხარსა. ეჭვი არაა, ჩინეთი იაპონიის პირს დაიჭერს. ადვილი შესაძლებელია, რომ შეერთებულმა შტატებმაც იაპონიის მხარე დაიჭირონ და დახმარებაც გაუწიონ. სიტყვა ის არის, როგორ მოიქცევა საფრანგეთი: რუსეთს დაეხმარება, თუ არა? კავშირის ძალით, საფრანგეთმა შორეულ-აღმოსავლეთშიაც მხარი უნდა მისცეს რუსეთს, თუ მარტო ევროპაში უნდა გაუწიოს დახმარება? თუ საფრანგეთმა რუსეთს უარი უთხრა შველაზე, შესაძლებელია, ამ სახელმწიფოს ადგილი გერმანიამ დაიჭიროს და რუსეთს უშველოს. ამ შველით გერმანია რუსეთის გულს მოიგებს და შორეულ-აღმოსავლეთში საკუთარ სამფლობელოს გაიფართოვებს. დასასრულ გაზეთი ურჩევს ინგლისის მთავრობას, მეტად ფხიზლად და წინდახედულად უნდა მოიქცეთ და თუ ვინიცობაა შორეულ-აღმოსავლეთში რამე დიდი ამბები ასტყდეს, ინგლისიც მზად უნდა იყოს.

ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი იაპონიისა და ჩინეთის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. იაპონია თანდათან უახლოვდება ჩინეთს და სცდილობს გაანთავისუფლოს ევროპიელთა ზედ-გავლენისა და მზრუნველობისაგან. ამ მხრივ იაპონელებს ეხმარება საერთო ნათესაობა ორ ტომთა შორის. განვითარებულმა იაპონელებმა კარგად შეისწავლეს ჩინელების ხასიათი, ფსიხოლოგია, ენა და ზნე-ჩვეულება და თანდათან ნდობა და პატივისცემა მოიპოვეს. ჩინეთში გადასახლებულ იაპონელთა რიცხვი მრავლდება. ამ ჟამად

იქ სცხოვრობს 4,000 კაცზე მეტი. პეკინში წელს 500 იაპონელი არის. ჩულის ვეცე-კოროლს ცოლად იაპონელი ქალი ჰყავს. ყველა ვეცე-კოროლეები სიამოვნებით აძლევენ ნებას იაპონელებს დასახლდნენ კიდევ ჩინეთში და აღებ-მიცემობაც იქონიონ. იაპონელებმა ჩინეთში, მთავრობის დახმარებით დააარსეს ჩინეთ-იაპონიის ბანკი, რომელსაც დასაფუძნებელ თანხად 50,000,000 ფრანკი აქვს. ჩინეთის ფოსტა და პოლაცია იაპონელებმა მოაწესრიგეს. ახალ კანონ-პროექტებს იაპონელები უდგენენ. ჩინელი ახალგაზდობა იაპონიის უნივერსიტეტში ამთავრებს სწავლას. იაპონელი სტუდენტები-კი მოგზაურობენ ჩინეთში და აკვირდებიან ჩინელების ცხოვრებას. იაპონიის ოფიცრები ჩინელ ჯარისკაცებს სწვრთნიან და ასწავლიან სამხედრო საგნებს. პეკინში საავადმყოფო არსდება, რომელიც იაპონელ ექიმებს ჩაჰბარდება. შარშან ერთმა ჩინელმა პრინცმა ტოკიოში სიტყვა წარმოსთქვა ამ ორ სახელმწიფოთა დაახლოვების შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა: კავშირი, რომელიც არსებობს ამ ორს,—კავშირი გვარ-ტომობითი, მწერლობითი და საერთო ინტერესებზედ დამყარებული, მომავალში უფრო მჭიდროდ დააკავშირებს და ორთავეს წარმატების გზაზე დააყენებს. ამ გზით მოელის აზია განახლებასა და აღორძინებას.

სპენსერის დასაფლავებას ინგლისის მწერალ-მეცნიერთა მცირე რიცხვი დასწრებია. სიტყვა უნდა წარმოეთქვა ჯონ მორლეს, მაგრამ სიცილიისაკენ მიემგზავრებოდა და დასაფლავებას ვერ მოუცადა. მის ნაცვლად სიტყვა წარმოსთქვა ლეონარდ კურტენიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ისტორიაში არ არის მაგალითი იმისთანა ვრცელის განზრახულების დამთავრებისა, რაც სპენსერმა მოახერხა სხეულით უძღურმა და ნივთიერად ღარიბმა, საღიადო ღვაწლი სპენსერისა ის არის, რომ იმან გარმონიულად დააკავშირა უსაზღვრო და ცვალებადი დიდი ხნის ნაშრომი ადამიანის გონებისა—ფიქრი, რწმენა, მეცნიერება. სპენსერი მალა აყენებდა გუმანიურს მხარეს და დიდს ყურადღებას აპყრობდა ეთიკას. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა კირიონ ვარმა და განაცხადა, რომ სწორავს საჭირო თანხას სპენსერის ფილოსოფიის კათედრის დასაარსებლად ოქსფორდში და სურს ესეთივე კათედრა დააარსოს ლონდონშიაც. სპენსერის მთარგმელმა ჩინურს ენაზედ ჩინეთის დიპლომატმა ტენ-ჩონ-სუმ მწუხარება გამოაცხადა ჩინელების სახელით სპენსერის გარდაცვალების გამო.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული წიგნი „ბიჭია რაქველი“ (საუბარი მღვდლისა მრევლთან ბიჭიას დაბადებასა, აღზრდასა და ცხოვრებაზედ), შედგენილი მღვდლის ალ. შარაბიძისაგან და გამოცემული მღვდლის ბასილ შარაბიძის მიერ. წიგნი შესდგება 106 გვერდისაგან და ღირს 25 კაპეკად.

* * ქუთაისის ქალაქმა სიგორის «დაჩაზე» საფიჩხიის ეკლესიის ახლოს გახსნა სასაფლაო ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთათვის. ქალაქის თვითმართველობა განაგებდა ამ სასაფლაოს საქმეს. არ არის დიდი ხანი, რომ სასულიერო მთავრობამ მოითხოვა რომ ამ სასაფლაოს გამგეობა სკსულიერო წოდებას გარდასცემოდა. საქმე ქმრთლ-კახეთ-იმერეთის სინოდალნი კანტორამ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს მოახსენა. უწმიდესმა სინოდმა ყოველივე ცნობა ამ საქმის შესახებ მოახსენა შინაგან სამინისტროს და სთხოვა, რომ სასაფლაოს გამგეობა სასულიერო გამგეობას მინიჭებოდა. დღეს ეს საქმე, როგორც დანამდვილებით გავიგეთ შინაგან მინისტრს აკვს წარდგენილი გარდასაწყვეტად და მცირეს ხანში კიდევ გარდასწყდება. ფიქრობენ რომ საქმე გათავდება სასულიერო წოდების სასარგებლოდ.

* * უმაღლესის ბრძანებით 1901 საზღვარ-გარეთელ ფირმებს ნება მიეცათ უბაჟოდ შემოიტანონ რუსეთში მცენარეულობისა, ვაზისა და სხვა ძვირფას კულტურის გამანადგურებელ მწერებთან საბრძოლველი იარაღი და მოწყობილება. 18 დეკემბერს სრულდება უმაღლეს ბრძანებით დადებული ვადა იარაღის უბაჟოდ შემოტანისა. რადგან მთელს კავკასიაში და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში წელს ისეთი ცუდი მოსავალი იყო, რომ მცხოვრებთ უბაჟოდ შემოტანილ იარაღის შექონა-კი გაუჭირდებათ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ფიცებრეზიდენტმა უვან. თავ. პ. გრუზინსკიმ საზოგადოების სახელით შუამდგოლობა აღძრა მით-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, გამოითხოვოს უმაღლესად ნება-რთვა, რომ იარაღების უბაჟოდ შემოტანის ვადა კიდევ იქნას გაგრძელებული.

* * შობა დღეს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პირველად სწირა ყოვლად სამღვდლო ევთიმემ, ეპისკოპოსმა ალავერდისამ. ყოვლად სამღვდლომ დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმო-სიტყვა.

* * „ივერიას“ შეუტყვია, რომ 14 იანვარს, წმ. ნინოს დღეს, კიევის სასულიერო აკადემიაში ქართულ წირვას აპირობენო.

* * იმავე გაზეთს გაუგია, რომ ერთი ქართველი ბუნების მეტყველების კანდიდატი ამ მოკლე ხანში შეუდგება საქართველოს საეკლესიო ისტორიის შედგენას რუსულს ენაზედ. ამ ისტორიას წარუდგენს კიევის სასულიერო აკადემიის მაგისტრის ხარასხის მისაღებად.

* * ბათუმიდან გვწერენ: ბათუმის ქალაქის თვით-მართველობას აქვს სახალხო სამკითხველო, რომელიც ეს მეორე წელიწადია არსებობს. ქალაქი აძლევს ხარჯად ათას მანეთს. ამას გარდა სამკითხველოს შემოსავალი აქვს თვიურ მკითხველთაგან ხუთი შაური და შემთხვევით მოსულთაგან ორი კაპეკი. რასაკვირველია, სამკითხველოს ეს ფული ვერა ჰყოფნის, ამიტომ წარმოდგენებიც იმართება იმის სასარგებლოდ. 22 დეკემბერს სწორედ ამ სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა საქველ-მოქმედო წარმოდგენა თეატრში. წარმოსადგენათ დანიშნული იყო ოთხი პატარა სხვა-და-სხვა პიესა, სხვათა შორის, სცენა დოსტოევსკის რომანიდან «დანაშაულობა და სასჯელი». მარმელადოვის როლი უნდა ეთამაშნა „ჩერნომორსკი ვესტ.“-ს რედაქტორს ბ-ნ პალმს. გამოვიდა ბ-ნი პალმი სცენაზე თუ არა, თეატრში ასტყდა ყვირილი და სცენაზე დაიწყეს სროლა დამბალ ვაშლებისა და ლაყე კვერცხებისა. ჰყვიროდნენ, რომ პალმი სცენიდან წასულიყო. თეატრში მყოფნი აირივნენ. ერთ ქალს გული წაუვიდა, მეორეს ისტერიკა დაემართა. იძულებულნი შეიქმნენ ფარდა ჩამოეშვათ ღ ეს პიესა აღარ ეთამაშნათ. პოლიციამ ამის გამო დაიჭირა ექვსი კაცი, როგორც უწყისოების მომხდენი. ბ-ნ პალმის სცენიდან გასვლის შემდეგ დანარჩენი პიესები შესრულებულ იქმნა ისე, რომ თეატრში წესიერება არ დარღვეულა.

(„ცნ. ფურ.“)



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილცნობაზე.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული 13 ქრისტესშობისთვის, ფარცხანაყანკის ეკლესიის კურთხევაზე.

სახელითა მამისათა, და ძისათა და წმიდისა სულისათა.

უყურებ-რა ამ თქვენ მშვენიერს, ძვირფას და ღვთის მადლით აღვისილ ახალ ტაძარს, თავისთავად მებატება გონებაში ერთი დიდათ საგულისხმოდითა შესანიშნი გარემოება ებრაელთა ძველი ცხოვრებიდან. ეს ციური გვირგვინი თქვენი სოფლისა, ეს უმაღლესი სამკაული და უკვდავი ძეგლი თქვენი სახელისა მაგონებს იმ სასწაულებრივ ღრუბლის სვეტს, რომელიც წინ უძღოდა ებრაელებს, როდესაც მათ თავი დააღწიეს ეგვიპტელთა მძიმე ტყვეობას და მიეშურებოდნენ თავიანთ სამშობლოსკენ, სვეტს, რომელიც, გარდა გზის ჩვენებისა, დღისით იფარავდა ებრაელებს მზის სიცხისაგან, ღამე უფანტავდა მათ სიბნელეს და ყველა ამასთან ერთად უჩინარ და უჩვენებელ ჰყოფდა მათ მტერთა, მღვერთა და ავაზაკთაგან. ესეთი სასწაულებრივი სვეტი მოევლინათ ებრაელებს შემდეგ იმისა, რაც მათ ჰსცნეს თავიანთი დანაშაული წინაშე ღვთისა, შეიგნეს სიმწარე ცოდვისა, ღვთის მცნების გარდასვლისა, შეინანეს ყველა ეს წრფელათ და წმინდა გულით შესთხოვეს უფალსა შებრალება, შეწყალება, დახმარება, ნუგეშისცემა და ხელის აპყრობა.

თქვენც, ძვირფასნო მსმენელნო, როდესაც არ აქცევდით ჯეროვან ყურადღებას ღვთის სახლს, როდესაც თქვენი სამლოცველო წარმოადგენდა საბრალე გლეხის ქოხის მსგავსებას, რა კითხი უნდა, დამნაშავენი იყავით წინაშე ღვთისა, მძიმე ცოდო და დიდი პასუხისგება გაწვით კისერზე, მაგრამ აკი

წრფელათ შეინანეთ ეს დანაშაული, აკი ბოლოს ცხადად შეიგნეთ თქვენი საღმრთო მოვალეობა, აკი ღვთის სახელის ხსენებით, ღვთის იმედით შეუდგეთ დიდებულ საქმეს და, აჰა, დასტკბით და გაიხარეთ დღეს—უფალმა შეისმინა ხმა ვედრებისა თქვენი, უფალმა შეიწირა თქვენი ოფლი და შრომა, უშფოთრად, სიამოვნებით და უგანსაცდელოთ დაგამთავრებინათ ეს ჩინებული ტაძარი, რომელიც უკვე შეიქნა თქვენთვის სვეტად ღვთის წყალობისა, განათლებული ცხოვრებისა და საუკუნო ნეტარებისა! დასტკბით, მოხუცებულნო და მოზარდნო, თქვენი სამლოცველოს მშვენიერებით, ისიამოვნეთ, ქაღნო და კაცნო, თქვენი ოფლით აშენებული ღვთის სახლის სილამაზით, გარნა გახსოვდეთ მუდამ და მტკიცეთ გრწამდეთ დიდსა და პატარას, რომ სახლი ესე აიშენა სამკვიდრებლად თვისა თქვენ-შორის უფალმა, მაშასადამე იგი არის ნიშანი ღვთის კურთხევისა თქვენ სოფელზე, იგი არის მაჩვენებელი ღვთის სიყვარულისა თქვენ თავზე, იგი არის სვეტი ღვთის წყალობისა, მადლისა და ნუგეშისა თქვენს სამრევლოზე სწორეთ ისე, როგორც ებრაელთა წინ მძღომი სვეტი იყო ნიშანი ღვთის წყალობისა და სიხლოვისა მათზე.

ეგვიპტიდან გამოსულმა ებრაელებმა არ იცოდნენ გზა თავიანთი სამშობლოსი, მათ უჩვენებდა და უნათებდა გზას ღვთისგან მინიჭებული სვეტი. ჩვენც, სულიერნო ძენო და ასულნო ჩემნო, დროებითი მდგმურები ვართ ამ სოფლისა, მგზავრები და შორეული ქვეყნიდამ მოსული სტუმრები ვართ აქ და მუდამ გარეთ ვერ დავრჩებით, მუდამ მგზავრობა და სტუმრობა შეუძლებელია, უნდა ჩვენი სამუდამო ბინა მოვძებნოთ, ჩვენი სახლი მოვიკითხოთ, ჩვენ სამშობლოში დავბრუნდეთ. მაგრამ სამშობლოსაკენ მგზავრობაში ჩვენ შევეყრებით მრავალ ჯვარედინ გზებს, ათას-ნაირად დახლართულ ბილიკებს, უდაბურ ტყეებს, გაღუვალ მთებს, ფართო ველებს, ზღვებს, მდინარეებს, ტბებს, დელეებს და შესაძლოა, სრულებით დავიბნეთ, სწორე გზას გადავსცდეთ, გავებათ უგზო-უკვლოთ ტყე-მინდორში, ვიმოგზავროთ მთელი სიცოცხლე და ბოლოს მაინც გარეთ დავრჩეთ, ვერ მივალწიოთ ჩვენ ბინას, ვერ ვიხილოთ ძვირფასი სამშობლო. აი სწორეთ ასაცდენად ამ მოსალოდნელი და შესაძლო უბედურობისა დაგვიწესა მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ



წმიდა ეკკლესია და ვინც იცხოვრებს ეკკლესიის ხელმძღვანელობით, ვინც მიმდევარი იქნება ყველაფერში ეკკლესიის მოძღვრებისა, ვინც თავის ცხოვრებას მოაწყობს თანახმად წმიდა სახარების სწავლისა, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ სოფლიდან გასული, ყოველივე ეჭვის და მიზეზის გარეშე მიადწევს თავის ჭეშმარიტ სამშობლოს, ე. ი. ზეციურ სასუფეველს, მართალთა საყოფელს. ასეთი დიდი ღმალალი აზრი აქვს ქრისტიანთათვის წ. ეკკლესიას და გულს-მოდგინეთ ვევედრები ზეციერ მამას აღგავსოთ დიდი და პატარა საღმრთო სიყვარულით თქვენი ახალი ტაძრისადმი, უცდომელად გატაროთ მის გზასა და სწავლაზე და გექმნეთ იგი საუკუნო წინამძღვრად სულიერი წარმატებისა.

სვეტი აგრილობდა ებრაელებს სიცხის დროს, ჰფენდა ნათელს ღამე და მტრის თვალი ვერ ხედავდა მათ. ჩვენც, ქრისტეს მოსიყვარულენო მსმენელნო, დიდი, ფიცხელი, მწარე და აუტანელი სიცხე-პაპანაქება, ე. ი. შიმშილი, წყურვილი, *ავად-მყოფობა, უსამართლობა, დევნულობა, ჩავრა უსვინდისობა და მრავალი სხვა გაჭირვება გვაწუხებს ვიდრე ამ სოფლად ვართ, სულს გვიხუთავს გონების სიბნელე, გვაუძღურებს და გვაკუტებს უმეტრების წყვდიადი, გვაკარგვინებს ღვთის სახეს და მსგავსებას ქვედრომა და ფათური ბოროტების ღამეში, ხილული და უხილავი მტრები იღვსენ კბილებს ჩვენ დასაღუბად, ჩვენ ჩასანთქავად, ჩვენ გასარყენლად და წარსატაცებლად; ჩვენის ღონით ვერ ვძლევდით ყველა ამას, აქამდისა მთლად მოგვიცავდა ბოროტება, გაგვანადგურებდნენ, მიწასთან გავასწორებდნენ და სრულებით დაგვაბეზავებდნენ სულიერნი და ხორციელნი მტრები, რომ მაცხოვარს იესო ქრისტეს არ მოენიჭებია ჩვენთვის, მსგავსად ებრაელთა მაგრილობელი, ბნელში მზეებრ მნათობი და მტერთა დამაბრმავებელი სვეტისა, ეკლესიას საიდამაც განუწყვეტლად გაისმის მაცოცხლებელი, სიამოვნების მომფენი, სულიერი სიმძლავრის აღმძვრელი ხმა მაცხოვრისა: მოგედით ჩემდა უოგედნი მასწავლნი და ტვინთ მძიმენი, მე განგისვენოთ თქვენ; მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება; მე ვარ ზური ცხოვრებისა, რამეღი მოვიდეს ჩემდა, არა ჭშიოდეს, და რამეღსა ჭრწმენეს ჩემი, არა სდა ჭსწურადეს და მრავალი ამ გვარი.

გეცოდინებათ, მსმენელნო, რომ სულ ახლო

დროს ჩვენ სოფლებს ცეცხლივით მოედო ბოროტისულისა და ხორცის წამწყმელი და დამღუპავი მიმართულება;—ბევრს აღარ სურს ეკკლესია, აღარ ჰსწყურია ლოცვა, ზიზღით იხსენიებს სამღვდლოებას და სხვა ამგვარი. ამისთანა უმსგავსობამ თავი იჩინა თქვენს ახლო, თქვენს მეზობელთა და ნაცნობთა შორის. ღმერთმა გაშოროთ მისხითი მისხამდე ამისთანა აზრებს და მიმართულებას. მე მჯერა თქვენი კეთილ გონიერება, ვიცი და დიდათ მიხარია, რომ აღვსილნი ხართ ღვთის სიყვარულით და არასოდეს არ აჰყვებით ბოროტი და საშიშო პირების შეგონებას. ამხელა შენობა ისე დაიწყეთ და ისე დაამთავრეთ, რომ არაფერი უთანხმოება არ მოგვსვლიათ ერთმანეთში, არც ერთხელ არ მოსულხართ ჩემთან საჩივლელად, და ეს ხომ ამგვარ საქმეებში თითქმის უმაგალითოა ჩვენ ქვეყანაში. იმერეთის ეპარქიაში ბევრგან მიქია მე თქვენი ერთგულება ეკკლესიისადმი, თქვენი დაწყნარებული, მშვიდობიანი, თანახმობითი, დარბაისლური ხასიათის მოქმედება საზოგადო საქმეში და ბევრთათვის მითხოვია წაებაძათ თქვენი კეთილი საქციელისათვის—გეტყვით კიდევ ცხადათ, რომ თქვენის მიბაძვით არა ერთსა და ორს ალაგს შეუდგენენ ეკკლესიების შენებას, ასე რომ სხვა სოფლების მკვიდრთა საღმრთო და სასულიერო საქმეშიაც ნაწილი გიღვეთ და ღმერთი ამასაც დიდათ დაგიფასებთ. დასასრულ ღმერთსა ვსთხოვ გააბრწყინოს და გაანათლოს ყოველი სიკეთით თქვენი ცხოვრება ისე, როგორც გაბრწყინებული და ნათლით აღვსილია ეს თქვენმიერ ნაჭირნახულევი ეკკლესია, ინებოს მაცხოვარმა იესო ქრისტემ, რომ თქვენ შორის განმტკიცებულიყოს და დამკვიდრებულიყოს ქრისტიანული სიყვარული, მშვიდობიანობა და თანახმობა, როგორც მტკიცე და მკვიდრია თქვენ მიერ აგებული ეკკლესია. სიმდაბლით და ღმობიერებით ვევედრები ცხოველმყოფელსა სულსა წმიდასა მწყალობელ გეყოთ შვილითი-შვილამდე, არ მოგაკლოთ არასოდეს თავისი ნუგეში, დაგიფაროთ ჭირისა და ბოროტისაგან, მოგანიჭოთ სული სიბრძნისა, სული მეცნიერებისა, სული შიშისა ღვთისა! ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საუბარი დაბადებიდან.

მესაჯალი.

„სიტყვა იგი ქრისტესი დამკვიდრებულ-
იყავნ თქვენთანა მდიდრად ყოვლითა სიბრ-
ძნითა“. (კოლას. III, 16.)

ზონიერი და მგრძნობიერე არსებანი ღვთისაგან არიან გაჩენილი; ამის გამო შემოქმედისა და მათ შორის აუცილებელი საურთიერთო დამოკიდებულება არსებობს. ადამიანიც კმნილებათა ამ ჯგუფს ეკუთვნის. უკეთუ ის იმ დამოკიდებულებათა გაუქმებას ჰბედავს, რომელნიც შემოქმედის წინაშე მისი მდგომარეობისაგან გამომდინარებენ,—ამით იგი თამამათ უარ-ჰყოფს ღმერთსა და საკუთარი ბუნების წინააღმდეგ მიდის.

დამოკიდებულებანი ადამიანისა ღმე იზე შეაღდგენენ იმას, რასაც ჩვეულებრივ რეჟ კიას ანუ სარწმუნოებას ეძახიან. რეჟიგია—ლათინური სიტყვაა; ქართულად იგი ნიშნავს კავშირს, დასკიდებულებას. მაშასადამე, რელიგია არის კავშირი ღმერთსა და კაცთაშორის.

თავდაპირველად ეს კავშირი სრული იყო, თითქმის სრულს ერთობამდე აღწევდა. მაგრამ როცა ცდომილება მოხდა,—მწყობრი ერთობა, რომელიც ღმერთსა და ადამიანებ-შორის არსებობდა, თუმცა სამუდამოთ არ გაწყვეტილა, მაგრამ შერყევით კი ღრმათ შეირყა. დროთა მსვლელობაში, ადემიანი იმდენათ დაცილდა შემოქმედს, რომ შესაძლებელი იყო სულაც დაუწყებოდა იგი, უკეთუ თვით ღმერთს, თვისის გამოუთქმელის მოწყალებით არ ენებებინა მასთან მოახლოვება, მასთან ლაპარაკი, მისი სწავლა და დარიგება.

და მართლაც ამას იქმოდა უფალი ღმერთი სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა საშუალებით,—თავდაპირველათ წინასწარმეტყველთა საშუალებით, შემდეგ კი თვისის ძის ქრისტე—იესოს მიერ. რასაც იგი ადამიანებს გამოუტყდადებდა,—ეს ყველაფერი ჩაწერილია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, რომელნიც ამის გამო იწოდებიან—„განცხადებად, ღვთის სიტყვად და საღმრთო წერილად“. ძველი აღთქმა იმ საღმრთო განცხადებებს შეიცავს, რომელნიც მაცხოვრის ქვეყნად მოსვლას წინაუბრდენ. ახალი აღთქმა კი თვით მაცხოვრისა ღ მისი მოცი-

ქულების სწავლა-მოძღვრებას შეიცავს, იმ მოცი-
ქულებისას, რომელთაც მან თვისი სწავლის განგრ-
ძობა მიანდო.

ორივე აღთქმას ერთად ჰქვია „ბიბლია“ ანუ „დაბადება“. ბიბლია—ბერძნული სიტყვაა და ქართულად წიგნებს ნიშნავს. ბერძენი საღმრთოწერილის ამ საზოგადო სახელით იხსენიებდენ,—და ამითი ალბათ შემდეგი აზრი უნდოდათ გამოეხატათ: სახელდობრ, საღმრთო წერილი ადამიანთა ყველა ნაწერებზე იმდენათ მაღლა სდგას, რომ საკმაოა ითქვას „ბიბლია“—„წიგნები“ და ყოველი ადამიანი გაიგებს, თუ რომელ წიგნებზეა ლაპარაკი.

წიგნები, რომელთაგანაც „ბიბლია“ შედგება, შინაარსის მიხედვით სხვა-და-სხვა ნაირია, მაგრამ მათში ყველაში ერთი ღ იგივე უფალი ლაპარაკობს. მხოლოდ, მისი გამოცხადებითი სიტყვა ყოველთვის ერთნაირი სახით და ერთი და იგივე სიტყვებით არ გადმოეცემოდა ადამიანს. ზეციური ნათელი ადამიანებს თან-და-თანობით ევლინებოდა: წინასწარმეტყველების სიტყვა—წარმოადგენდა კანდელს წყვილად ღმეში, სანამ არ ამოაშუქა განთიადმა, ცისკრის ვარსკლავმა, რომელ არს იესო ქრისტე, და არ განათათ მთელი ქვეყანა თვისის წყნარი, მხიარული ნათელით. ეხლა მზე სიმართლისა გვინათებს ჩვენ ყოველთა თვისის სრულის და მადლიანის ნათელით და ჩვენ შეგვიძლია ღმერთზე და მის ნებელობაზე ყველაფერი ვიცოდეთ, რაც საჭიროა ადამიანმა იცოდეს მის აწმყო მდგომარეობაში.

ამისგამო, როგორის სიყვარულით და სრულის მადლობით უნდა ვაკურთხევდეთ ყოველი სიკეთის მომნიჭებელს უფალს—არა მარტო იმისთვის, რომ საღმთო ჰეშმარტებათა შესახებ აქამომდე სიბნელეში არ ვგხეტებით, არამედ იმისთვისაც, რომ ჩვენ მოცემული გვაქვს ყველა საშუალებანი—ღმერთი ვიცნოთ, მას მიუახლოვდეთ და მისი საყვარელი შვილები შევიქნეთ!. მაგრამ ვასრულებთ კია ამას, ძმანო?..

მთელი ქვეყნიერობა თავის შემოქმედის დიდებაზე მოუთხრობს; და ეს ენა ადამიანებისთვის ყოველთვის გასაგები იქნებოდა, უკეთუ მათ ის პირველყოფილი თვისი სიწმიდე დაეცვათ, რომლითაც შემოქმედის ხელიდან გამოვიდენ. მაგრამ შეცოდების შემდეგ ადამიანების გულსა და გონებაში წყვილიადმა დაისადგურა; აღიძრენ სხვა-და-სხვა გვარი ვნებანი, რომლებმაც სრულებით ბრმა და უგრძნო-



ბელი გახადა იგინი შემოქმედების ყველა საკვირველებათა შესახებ. და სამუდამოთ დაიღუპებოდენ ადამიანები, უცოდინარობის და გაბრწინილების გაუვალ უფსკრულში ჩავიღუპებოდით ჩვენ ყველანი, უკეთუ ყოველად მოწყალე უფალს თვისის გამოცხადების ნათელით არ გაენათლებია ქვეყანა. მაგრამ რა, ყველა ადამიანებმა მთელი გულითა და მთელი სულით მიიღეს ეს საღმრთო ნათელი?..

ოჰ, რამდენი კაცი იყო ყოველთვის და ყოველდროს და რამდენი მოიპოვებინ ეხლაც ისეთები, რომელნიც, მათი გაბრწინილი გულისა და გონების წყალობით, შორს გაურბიან ამ ნათელს და სძულსთ იგი, „რათა არა ემხილნენ საქმენი მათნი“ (იოან. 3, 20), — რომელნიც თავის ღღეში არ ჩაიხედავენ საღმრთო წერილის წიგნებში, რადგან ეშინიათ იქ თვისის სამუდამო სასჯელის განაჩენი არ შეხედეს?!. მაგრამ რათ უნდა ვილაპარაკოთ ადამიანებზე, როგორც ვილაპარაკებთ შორეულ რამეზე, — ჩვენ თვითონ-კი, ძმანო, განა იმავე რიცხვს არ ვეკუთვინით?.. განა ვისმე ჩვენგანს შეუძლია გულწრფელად აღიაროს, რომ იგი, როგორც წესი და რიგია, ისე სარგებლობს საღმრთო გამოცხადებით? განა ცოტანი მოიპოვებინ ჩვენ შორის, რომელთაც მთელ თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ წაუკითხავსთ გონიერულად და შეგნებულად, — მთელ ბიბლიას, — დაბედებას ვინ სჩივის, — თუნდ მარტო სახარება მაცხოვრისა ჩვენისა? — მიუტყეველი უმადურობაა ჩვენის მხრით, — რომ არ ვსარგებლობთ იმ საღმრთო ნათელით, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის სიკაცხლე და საუკუნო ცხოვნებაა.

«რომელნი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ; უკეთუ ვინმე ვიდოდეს ღღისი, არა წარჰსცეს ფეხი, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს; და უკეთუ ვინმე ვიდოდეს ბნელსა შინა, უბრკმელს მას, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა», — ბრძანებს მაცხოვარი (იოან. 12, 35; 11, 9—10). საღმრთო გამოცხადების ნათელს გაურბივართ, მაშასადამე ბნელში ვალთ; აქედან-კი, რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა განუწყვეტელნი «ბრკობანი», სასიკვდილო დაცემანი? და როცა ამ გაუვალ სიბნელეში დავდივართ, გვესმის თუ არა, რა საშიშს, სამუდამოთ დაუსრულებელს წყვედიადს უშხადებთ ჩვენს თავს საფლავს იქით?..

ჩვენ მოცემული გვაქვს საღმრთო გამოცხადება, — მაშ, ძმანო, ვისარგებლოთ იმითი, ჩვენი სულის

საცხოვნებლათ, თორემ უკანასკნელ ღღეს ეს გამოცხადება, მაცხოვრის სიტყვის თანახმად, ჩვენივე გამამტყუნებელი და მსაჯული გახდება. (იოან. 12, 48). მაგრამ, რომ საღმრთო წერილით ჯერისამებრ ვისარგებლოთ, საჭიროა იგი ვიცოდეთ; ხოლო რომ იგი შევისწავლოთ, საჭიროა, ვინც კითხვა იცის, რაც შეიძლება ხშირათ იკითხოს იგი, ხოლო ვინც უსწავლელია — ხშირათ მოისმინოს, მთლათ, თავიდან ბოლომდის.

მაგრამ უნდა იკითხოს და ისმინოს იგი, არა როგორც უბრალო ადამიანის სიტყვა, არამედ როგორც სიტყვა უფლისა ღვთისა, რომელშიაც ყველაფერი ჩვენს დასარგებლად და გასასწორებელათაა ნათქვამი. მხოლოდ ამ პირობის აღსრულებით გახდება იგი ჩვენთვის იმ „ნათელად ცხოვრებისა“, რომელზედაც მაცხოვარი ბრძანებს (იოანე, 10, 12). ხოლო ამ მიზნის მისახწევად, ცხადია, მარტო ენისა და სმენის ვარჯიში არა კმარა, — აქ საჭიროა აზრისა და კონების მუშაობა: ძალიან ღრმად და ჩაკვირვებით უნდა ჩაუფიქრდე წაკითხულს და გაგონილს, თუ სურს რომ იგი თვით სულსა და გულში ჩასწვდეს. ვცადოთ ერთი ასეთი კითხვა და მოსმენა საღმრთო წიგნებისა, გულით შევთხოვოთ ზეციერ მამასა, რომ მან განვივინათლოს აზრი და გონება მისის მადლშემოაილ გამოცხადების მოსასმენად, შესაგნებად და შესათვისებელათ.

„სიტყვა იგი ქრისტესი დამკვიდრებულ იყავნ თქვენთანა მდიდრად ყოვლითა სიბრძნითა“.

II.

ცისა და ქვეყანის გაჩენა.

წიგნი „შექმნათა“, თავი 1.

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა“. შემოქმედება — მთელი ქვეყნიდან დაიწყო, ესე იგი, თავდაპირველად ღმერთმა გააჩინა ის მასალა, რომლისაგანაც შემდგომში წარმოდგა: ცა — უსამზღვრო კრებული სხეულებისა, რომელთაც მნათობებსა და ვარსკვლავებს ვეძახით, — და მიწა („ქვეყანა“) — ეს თითქმის შეუმჩნეველი წერტილი ქვეყნიერების თვალუწვდენელ უფსკრულში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, ვითომც „დასაბამად“ ღმერთს მარტო უსულიო ნივთიერი მასალა გაეჩინოს; არა, აქ იგულისხმებიან აგრეთვე ის გონიერი არსებანიც, რომელთაც ანგელოზებს ვეძახენ.



ამ რიგათ, უბრალო მტვერით დაწყებული და ბრწყინვალე მთავარანგელოზებით გათავებული, ყველაფერი ღვთის ქმნილებაა; ყველაფერმა იმ ერთი საუკუნო წყაროდან მიიღო სიცოცხლე.

საღვთო მწერლის სიტყვით, საყოველთაო შექმნა მოხდა „დასაბამად“. რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვაში? დროის რამდენ ათას, მილიონს და მილიარდს წელს შეიცავს ეს „დასაბამად?“ ამნაირ კითხვებზე პასუხი არ არსებობს, რადგან დროთა ანგარიში ჟამებით, დღეებით და წლებით მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ცის მნათობებმა თვისი უკანასკნელი სახე მიიღო და მასთან ერთად მიიღო თვისი მოძრაობის კანონებიც. ის კი ექვს გარეშეა, რომ ღმერთი საუკუნეთაგან არა ქმნიდა, რადგან სადაც საუკუნობაა, იქ არც დასაბამია.

„ხოლო ქვეყანა იყო უხილავ ზღაპრულად“. ის უზარ-მაზარი მასალა, რომლისგანაც ჩვენი ელემენტარული (დედა-მიწის ბურთი, „ქვეყანა“) უნდა წამოვმდგარიყო, პირველხანათ ძლიერ არეულ-დარღული იყო და განუწესრიგებელი: იქ ყველაფერი დედნულში იყო და ძალები ერთმანეთს ებრძოდა; ერთი სიტყვით, მთელი ეს მასალა იმ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელსაც ხაფსი ეძახიან.

ეს ძალთა ბრძოლა და პირველყოფილი მასალის დედა-მიწის სხვა-და-სხვა ნაწილებად გადაღლება სრულს სიბნელეში მოხდა: „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა“ მაგრამ სიცოცხლე კი ჯერ არსად სჩანდა, რადგან იქ ჯერ ისევე უსიცოცხლო (მექანიკურ) ძალთა მუშაობა წარმოებდა, იმ ძალთა, რომელთაც თავის თავად არ შეეძლოთ რაიმე ცოცხალი წარმოეშობათ, თუნდ სიცოცხლის ნასახი-რამ შეექმნათ.

და საუკუნოდ ასე გაგრძელდებოდა უსიცოცხლო ძალთა მუშაობა, სიცოცხლის უნიშანკლოთ, უკეთუ თვით ღვთაებრივს დასაბამს, თვითონ სიცოცხლის პირველ-წყაროს არ ჰქონებოდა იქ ყოველადშემძლე ცხოველსმყოფელი გავლენა: „სუდი ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“. აი, ვისი ცხოველსმყოფელი ძალა სდებდა სიცოცხლის დასაწყისს უსიცოცხლო მსოფლიო მასალაში, და აწეწილ ხაოსში სიცოცხლისთვის ნიადაგს ამზადებდა.

„სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“. რომელ წყალზეა აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა, წყალს, როგორც სიცოცხლის

ერთ-ერთს უმთავრეს დასაბამს, ღმერთი სხვა მასალასთან ერთად გააჩენდა; წყალი ამ მასალას შიგაც ერია და გარედანაც ერტყა. მხოლოდ წყლის განუწყვეტელი ზედმოქმედებით წარმოდგა დედამიწის გარეპირის მრავალგვარი ქეობები; უწყლოთ ადგილი არ ექნებოდა არავითარ სიცოცხლის გაჩენას, მცენარეიდან დაწყებული და ადამიანით გათავებული.*) აი სწორეთ ამისთვისაა ნათქვამი, რომ სული ღვთისა პირდაპირ წყალზე მოქმედებდაო: „და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“.

როცა საღვთო მწერალი დედამიწის ხაოსებურ მდგომარეობას იხსენიებს, — ცის შესახებ ამასვე აღარ ამბობს; მას სახეში ჰქონდა მხოლოდ ის მოეთხრო, რაც პირდაპირ დედამიწას შეეხება და მეტს აღარას ამბობს. მიუხედავად ამისა, თქმა არ უნდა, რომ ქვეყნიერობათა შექმნის კანონი ყველგან და ყველასათვის ერთი უნდა ყოფილიყო: ჯერ ხაოსებური მდგომარეობა, დუღილი ზღაპრულად ბრძოლა, შემდეგ ადგილი და აუცილებელი პირობები სიცოცხლის გაჩენისათვის და უკანასკნელ—თვით სიცოცხლე.

„მაშ, იმ შორეულ ქვეყანებზედაც, რომელთაც მნათობებს და ვარსკვლავებს ეძახიან, სიცოცხლე არსებობსო?“, — იკითხავთ თქვენ. ყოველ ექვს გარეშეა, რომ იქ, იმ ქვეყანებზედაც მათმათი შესაფერი სიცოცხლე არსებობს. და განა შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო? ნუ თუ ღმერთი ჩვენი არის ღმერთი სიკვდილისა და არა სიცოცხლისა, საყოველთაო და ყველგან არსის სიცოცხლისა, უკანასკნელ წყლის წვეთამდიც-კი, რომელშიაც უთვალავი და უჩინარი არსება სცხოვრობს?.. განა ღმერთი ჩვენი არის ღმერთი უწესრიგობისა და არა წესიერებისა და სიბრძნისა, იმ უზენაესი სიბრძნისა, რომლის მიხედვითაც ყველაფერს, რაც არსებობს, თვისი არსებობის გონიერი მიზანი უნდა ქონდეს?.. ის შორეული ქვეყნები, მოსეს სიტყვის თანახმად, ჩვენი ქვეყნის მნათობები არიან, ივინი ღმერთმა მისთვის შექმნა, „რათა ნათობდენ ქვეყანასა ზედა“. მაგრამ ამას გარდა, მათ თავისი საკუთარი დანიშნულებაცა აქვთ; ყოველი მათგანი ცხოვრობს და არსებობს თვისის მოთხოვნილებებისამებრ. (შეადარე

*) უწყლოთ წარმოუდგენელია სიცოცხლე, წარმოუდგენელია „ორგანიზმი“ შლიედენი: „Растение и его жизнь“ გვ. 15.

წიგნი ისო ზირაქისა, (XLII, 23—26). და მართლაც რას ვხედავთ ჩვენ ამ ქმნილებათა უფსკრულში? მხოლოდ „ნაპერწყალს“, მხოლოდ მცირე ნაგლეჯს იმისას, რაც ნამდვილად არსებობს. ვარსკლავთა მხოლოდ მცირე გუნდი დაგვექათქათებს ზემოდან; უმრავლესობა-კი ძლივს-ძლივობით ბეჭუტავს; ხოლო დანარჩენები რაღაც თეთრი ზოლის მსგავსათ ირგვიან ერთმანეთში და სადღაც შორს, ცის სივრცეში იკარგებიან. და ეს მხოლოდ ერთი მცირე ნაგლეჯია მთელი ქვეყნიერობის დიდებული სურათისა. იცქირებიან მეცნიერნი ცის სივრცეში ხელოვნური შუშებით და ამ თეთრ ზოლში ამჩნევენ ისეთსავე მზებებსა და მოქათქათე ვარსკლავებს, როგორებსაც შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ; ხოლო შორს იმათ იქით ისევე მბეჭუტავი ვარსკლავებია, ისევე თეთრი ზოლი... იგონებენ საუკეთესო და საუკეთესო შუშებს, —მეორდება იგივე ისტორია, —და ასე სამუდამოთ, გაუთავებელად. და ვერ მოსთვლიან ადამიანები ცის მნათობებს უკუნითი უკუნისამდე; ამისთვის მათ რიცხვებიც არ ეყოფათ. ამავე დროს თითოეული იმ მნათობთაგანი, თითოეული ძლივს მბეჭუტავი წერტილი —მთელი ქვეყანაა, ჩვენს დედამიწაზე ათასჯერ და მილიონჯერ მეტი. მაშ, ნუ-თუ ყოველივე ეს მხოლოდ მისთვისაა გაჩენილი, რომ დედამიწას უნათოს? უნათოს, მაშინ როცა მთელ მილიონ ვარსკლავების სინათლე არც-კი სჩანს უბრალო თვალით?! უნათოს, მაშინ როცა მათგან მილიონთა მილიონის სხივი ჩვენს დედამიწამდის მხოლოდ მაშინ თუ მოაღწევს, როცა უკანასკნელი უკვე დაასრულებს თვის არსებობას?! ყოველი მათგანი ცხოვრობს და არსებობს თავისთვის, თავის მოთხოვნილებებისთვის.

„ვითარ განსდიდნეს საქმენი შენნი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ“ (ფსალმ. 6 III-24). და მართლაც, ქვეყნის ამ საოცარ მოვლენათა შესახებ ფიქრის დროს, სხვა რაღა დარჩენია ადამიანს, თუ არა ის, რომ წინასწარმეტყველთან ერთად გულის სიღრმით დაღაღ ჰყოს: „აკურთხევეს სული ჩემი უფალსა; უფალო ღმერთო ჩემო, განსდიდე ფრიად აღსარება და დიდად-მშვენიერებაჲ შთაიცი“ (ფს. CIII, 1). მაგრამ ამავე დროს, ძმანო, ცოტანი

არაინ ჩვენ შორის, რომლებსთვისაც „ცანი,—რომელ მოუთხრობენ დიდებასა ღვთისასა,“—სდუმენ, და ქვეყანაზე მათთვის არაფერი არ მოწმობს შემოქმედის დიდებასა და სიბრძნეს? ეს კიდევ ცოტაა?! ჩნდებიან ისეთი ფილოსოფოს-მეცნიერნი, რომელნიც, მეცნიერების სახელით, სცდილობენ შემოქმედი მის ქმნილებას მოაშორონ. დახეთ მათ სიბრძნევეს?! ჭეშმარიტი მეცნიერება, —რომელ ნაწილსაც გინდა სწავლობდეს იგი: ცის სხეულთა კანონებს (ასტრონომია), დედა მიწის გულსა (გეოლოგია), გინდ სიცოცხლის მრავალგვარ ფორმებსა და კანონებს, —ყოველ თავის ნაწარმოებს და გამოკვლევას იმითი ათავეებს, რომ თავმდაბლათ და მოწიწებით ყოველი არსების მიზეზად ღვთაებას აღიარებს.*) ის კი მეცნიერება არ არის, რომელის სახელითაც ღვთაებას უარ ჰყოფენ; ის არის ლანძღვა და ცილის წამება მეცნიერებისა და არა მეცნიერება.

შორს ჩვენგან, ძმანო, ასეთი ღვთისგლახა მეცნიერნი და მათი მეცნიერება. „ვითარ განსდიდნ საქმენი შენნი უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ“, —აი სადიდებელი ლოცვა, რომელსაც თავმდაბლობით და მოწიწებით უნდა აღვავლენდეთ შემოქმედისადმი ყოველთვის, დღესაც თვალს ცის სიღრმისკენ მივაპყრობთ. გინდ ჩვენს დედამიწის მრავალფეროვან საოცარ მოვლენებს ვაფიქრებდით და სხვ.



ს. გორგაძე.



*) შლეიდენი: «Раст. и его жизнь», გვ, 85.



ბანსხალეზა.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-
კვირულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე



რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუ რ ნ ა ლ ის ფ ა ს ი :

12 თვით «მწყემსი»	6 თვით «მწყემსი» 2მ.
სამკურნალო ფურცლის	
დამატებით — 4 მ.	— „რუსული „ 2
— „რუსული „ 3 მ.	
— „ორივე გამოცემაზე»	— „ორივე გამოცემაზე» 3

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა
ეგაილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ.ნ ესტატე
ლამბაშიძესთან, თბილისში წერა-კიცხვის გამაგრე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო
ქუჩუკაშვილთან. ახალსენაგში — ბლადოჩინ მამა არ.
კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.
რედაქცია იმყოფება დ. ეგაილაში რედაქ-
ტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქუჩის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით: ВЪ Квирилы, въ редакцію газеты и
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-
ნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-
თალოგი დრო-გამოშვებით ქუჩისაში და ც ი ბ ე კ ე ბ ა
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის
„ცნობის ფურცელი“
სურათებიანი დამატებით კვირაში რჯულ
(წელიწადი მეცხრე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ.
6 თვით 4 მ. 1 თვით 50 კაზ., სამზღვარ-გარეთ
ერთი წლით 9 მან., 6 თვით 5 მ., 1 თვით 90 კ.
თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მომწერისათვის 4 მ.
დანახენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ქურნალი „მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)
ფასი ქურნალის გაგზავნით:
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან.
6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სამზღვარ-გარეთ: ერთი
წლით 13 მანეთა, 6 თვით — 7 მან., 3 თვით — 5 მ.,
ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს,
„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით
უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გა-
საგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1
მან., რომელიც ხელის მოწერისათვისავე უნდა იქმნას
შემოტანილ.
წლიური ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:
პირველად 6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის,
და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მან.
1-ლ აგვისტომდე — 3 მან.

როგორც «ცნობის ფურცლის» ისე «მოამბის»
მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ, პრემიად
გაეგზავნებათ ეველა ნაწერები

ალ. ქ ა ზ ბ ე გ ი ს ა

1904 წელს „ცნობის ფურცლის დამატებაში დაიწყება
ბეჭდვა სურათებისა „საქათველოს ეტნოგრაფია და კულტურა
სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან**. სურათები
იქნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი
ბ. გოგიაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ
წლის განმავლობაში

ოთხი საშაფრულო წიგნი სურათებით
(კამოვა სამ თვეში ერთხელ)
ოთხი წიგნი შვალავის 250 გვადს.



წლიური ფასის გარდა, ქალაქ-გარედ ხელის-მომწერლებმა პრემიის გასაგზავნად რედაქციას უნდა გამოუგზავნონ ფოსტის ხარჯად 55 კ.

რედაქცია უმერხაღესად სთხოვს შემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 დაკემბრამდე დაიკვეთონ, რომ კონტრაქტ მთავრის აღრესების დამზადება და არ დააკვირნოს გამოცემათა ვაკზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372

აღრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моამბა“ и „Цнобисъ-Пурцели“. 3-1

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„გველი“ (წელიწადი მეთორმეტე)

გამოვა 1904 წელსაცყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი ტფილისში: ერთი წლითღირს 7 მან. ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით— 2 მ. თითო ნომერი—15 კაპ. ტფილისს გარეთ: ერთი წლით ღირს 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლით ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კითხვის საზოგადოების კანცელაიაში» (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში.

(რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლებში).

ტფილისს ვაკეთ:

ქუთაისში: მიტროფანე ლაღ-ძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; და ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათუმში სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში; თბილისში და ახალ-სენაკში გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში, ჭიათურაში—კალ. კიქინაძესთან და გ. ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველ სენაკში არსენ წითლიძესთან; თბილისში დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, Редакція „Квали“ 3-2

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოყელს ღონისძიებას ხმარობს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთს გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციის სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა ისევ თუშანია ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ კასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურვიდეთ პრემიად კრ. ლ. ნ. ტოლსტოის რომანი «ვლადიმერა» («ВОСКРЕСЕНИЕ»).

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ- უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: „ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერაკოთხე. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ქუთაისში: ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში: პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში: პართენ ნასიძესთან.

კახაში: სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში: ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო აღრესი: Тифлисъ, Редакція «Иверія».

საემსწავლო ნასაკუბრის ყურნალი
„ჯეჯილი“
 წელიწადი მ-15-ბმ

გამოვა 1904 წელსაც თვეში ერთხელ. ეურნალში
 ორი განყოფილებაა: ზატარებისათვის და მოზრდილთა-
 თვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა
 ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდან დაიწყება
 ბექდვა ინგლისელ მწერლის მარკ ტვენის მოთხრო-
 ბისა: ტასტის მეშვეობით და მათხროვანი. წლის განმავ-
 ლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი
 ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურეკდება ზრემიათ დასურა-
 თებული ზღაპრების კრებული.

ეურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მან.
 ქალაქ გარედ 5 მ. ცალკე ნაწილი 50 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „წერა-
 კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში და თვით
 „ჯეჯილის“ დედაქციაში (Артилерійская ул. № 5).
 ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, ред. груз. дѣтскаго
 журнала Д ж е д ж и л и.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-
 წერეთლისა.

ქუთისში

ს. მ. პ. იოიუყრაის

ს ა ა ვ ა დ მ უ ო ფ ო უ ი,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც
 ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის
 ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქი-
 რურგო, დედათა და თვალთა ავადმყოფთათ-
 ვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-
 მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით.
 გადამდების სენითა და სულთ ავადმყოფთ
 სამკურნალო არ ღებულაობს.

ფასი დღე-ღამეში ჯამა-სმისა და მკურნალობისა-
 თვის 1 მანეთივლა 3 მანეთამდე. (წ)

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლის ეურნალ

მოგზაურად

გარდა ეურნალისა, რომელშიაც მოთავსებული
 იქნება საბედაგოგო, სამეურნეო, სამეცნიერო და
 საისტორიო-საეტიმოგრაფიო წერილები, 1904 წლის
 ხელის მომწერლებს გაეგზავნება მუქთად

ს შ თ ი პ რ ე მ ი ა

- 1) დიდი სურათი ნიკოლოზ ბაკათაფვილისა,
 - 2) „მსოფლიო სურათები“,
 - 3) „სრულიად საქართველოზ გეოგრაფია“,
 - 4) „სამეურნეო-საოჯახო ნაკრავი“,
 - 5) „სამეურნეო და საზოგადო ნაკრავი“,
- ადრესი: Въ Тифлисъ, Редакціи «Морзаური».

3—1

პვირილაუი კალობის მასწავლებელი
 სერგეი ჯინჭველაძეილი ასწავლის ქართულს
 საეკლესიო და საერო კალობას ნოტების
 საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს
 საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ვასილ მაჭავარძიანის სახლი—
 ზედა ხიდის პირდაპირ.

ამით ვაუწებ ზატეცემულ საერო და სამ-
 დედლო წოდებას, რომ მე გავსენი დაბა
 ვეირილაში სადურგლო კანკელისა და იკო-
 ნოსტასების დასამზადებლად. კანკელებს, ცალ-
 კე სამეუფეო კარებსაც ვიდებთ ძლიერ იაფად.
 იმედი გვაქვს, რომ ზატეცემული საზოგადოება
 და სამდვდელოება ჩვენი ნაკეთებით არ დარ-
 ჩება უკმყოფილო.

იკონოსტასის მკეთებელი ტ. ჯიშკარიანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაშაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
 Дозволено цензурою Архимандритъ Георгій декабрия 31 1903 г.

Типог. редакціи журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.